სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №02-476

25.03.2015

ქ. თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (ÖSD) ჩატარების თარიღის განსაზღვრისა და საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, 2015 წლის 20 მარტის N01-1041 მინდობილობის, 2014 წლის 12 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ÖSD-ცენტრალურ საგამოცდო ოფისს შორის გაფორმებული საგამოცდო ლიცენზიის გაგრძელების შეთანხმებისა და ამ შეთანხმების მეხუთე პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის, ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორის, მზია გალდავაძის 2015 წლის 18 მარტის №02-2980/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდა (ÖSD) ჩატარდეს 2015 წლის 25-30 აპრილს, უნივერსიტეტის S კორპუსის 507-ე აუდიტორიაში.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდისთვის (ÖSD) საგამოცდო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) მზია გალდავაძე - ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე).

ბ) ნარგიზი ცინცაძე-დებიაზი - გამომცდელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ანა ბაკურაძე - გამომცდელი (კომისიის წევრი);

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (ÖSD) ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორი მზია გალდავაძე.

4. გერმანული ენის ავსტრიული საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (ÖSD) ტექნიკურ ასისტენტად განისაზღვროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- მზევინარ ჭუმბურიძე.

5. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ავსტრიული კულურის ცენტრს, ფინანსურ სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ადამიანური რესურსების ამრთვის სამსახურს, ავსტრიულ ბიბლიოთეკასა და ამ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე